

**ხელშეკრულება №**  
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**  
**(ელექტრონული ტენდერი NAT-----)**

ქ. თბილისი

**ხელშეკრულების დამდები მხარეები**

შპს „ენგურჰესი“, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8, ფაქ. მდებარეობა: გალის რ-ნი, დას. საბერიო, შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად ერთის მხრივ და -----, იურიდიული მისამართი: -----, შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული, მისი ----- სახით, რომელიც ასევე მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად მეორეს მხრივ, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის - NAT----- საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ –საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ტექნიკური დავალება“ – გასაწევი მომსახურეობის მოცულობა, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

**2. ხელშეკრულების საგანი**

**2.1. შესყიდვის ობიექტია:**

- შპს „ენგურჰესი“-ს მიერ 260 მვტ სიმძლავრის N1, N2, N3 და N5 ჰიდროაგრეგატის მიმდინარე შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევა;
- შპს „ენგურჰესი“-ს მიერ 260 მვტ სიმძლავრის N4 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევა

ხელშეკრულებას თან ერთვის ხარჯთაღრიცხვები, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 კლასიფიკატორის კოდია: 50532300;

**3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები**

- 3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: ----- (-----) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
- მათ შორის:
- ჰიდროაგრეგატი N1 - ----- ლარი დღგ-ს ჩათვლით;

- ჰიდროაგრეგატი N3 - ----- ლარი დღგ-ს ჩათვლით;
- ჰიდროაგრეგატი N4 - ----- ლარი დღგ-ს ჩათვლით;
- ჰიდროაგრეგატი N5 - ----- ლარი დღგ-ს ჩათვლით;

3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში– ლარებში.

3.3 შემსყიდველი მიმწოდებელს (მოთხოვნის შემთხვევაში) ავანსის სახით გადაუხდის სახელშეკრულებო თანხის 30%-ს, მიმწოდებლის მიერ ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში;

3.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად გაწეულ მომსახურებაზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში;

3.5 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში;

#### 4. მომსახურების გაწევის ადგილი, ვადები და პირობები

4.1 მომსახურების გაწევის ადგილია: აფხაზეთი, გალის რ-ნი, დას. საბერიო, შპს „ენგურჰესის“ მ/ქვეშა საამქრო.

4.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია დადგენილ ვადებში სათანადო ხარისხით განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია გაწეულ მომსახურებაზე.

4.3 მომსახურების გაწევის ვადაა: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 120 (ასოცი) კალენდარული დღე.

4.4 მიმწოდებელს უფლება აქვს მომსახურების გაწევა შემსყიდველთან შეთანხმებით განახორციელოს რამდენიმე ცვლიანი გრაფიკით და მომსახურება გაწიოს განსაზღვრულ ვადაზე ადრე.

4.5 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად.

#### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება - ჩაბარება ხდება ეტაპობრივად, გაწეულ მომსახურებაზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი.

5.2 გაწეულ მომსახურებაზე საბოლოო-მიღება ჩაბარების აქტი დგება ჰიდროაგრეგატის 48 საათიანი საცდელი ვადით გაშვების დამთავრების შემდეგ.

5.3 გაწეულ მომსახურებაზე მიღება ჩაბარების აქტს თან უნდა ახლდეს ფარული სამუშაოს აქტები.

5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირებია:

- შპს „ენგურჰესი“-ს ტექნიკური დირექტორი - გ. ხუბუა;
- შპს „ენგურჰესი“-ს რემონტების მენეჯერი - ი. შონია;
- შპს „ენგურჰესი“-ს მ/ქვეშა საამქროს უფროსის მოადგილე - ს. ჭანტურია;
- შპს „ენგურჰესი“-ს სტგ-ს უფროსი - რ. გვაგვალია;

#### 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:

- მკაცრად დაიცვას მომსახურების დამთავრების სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს სათანადო ხარისხი;
- მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;
- გამოიყენოს უსაფრთხოების დაცვის საკუთარი საშუალებები;
- მომსახურება გაწიოს საკუთარი მასალებით, სამუშაო იარაღებითა და სამარჯვებით.
- „მიმწოდებლის“ მხრიდან პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ნებისმიერ დროს მოახსენოს „შემსყიდველის“ წარმომადგენელს მომსახურების გაწევისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

6.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

- მოახდინოს „მიმწოდებლის“ სამუშაოზე დაშვება არსებული უსაფრთხოების ტექნიკის წესების სრული დაცვით.

- დროულად აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების საფასური.

6.3 მომსახურების გაწევის დაწყებამდე მხარეები იძლევიან ინფორმაციას მათი მხრიდან სამუშაოს წარმოებასა („მიმწოდებელი“) და ზედამხედველობაზე („შემსყიდველი“) პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ.

6.4 „შემსყიდველი“ აბარებს „მიმწოდებელს“ შეკვეთის ობიექტს უსაფრთხოდ ყველა საჭირო ღონისძიებების (გამორთვა, დაცლა და სხვ.) შესრულების შემდეგ.

6.5 „მიმწოდებელს“ უფლება ეძლევა მომსახურების გაწევისას უსასყიდლოდ გამოიყენოს სამანქანო დარბაზში არსებული ხიდურა ამწეები, როდესაც ამწე არ იქნება დაკავებული საექსპლუატაციო სამუშაოების შესრულებით. ამწის მემანქანის დამატებითი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ინჰექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- შპს „ენგურჰესი“-ს ტექნიკური დირექტორი - გ. ხუბუა;
- შპს „ენგურჰესი“-ს რემონტების მენეჯერი - ი. შონია;
- შპს „ენგურჰესი“-ს მ/ქვემა საამქროს უფროსის მოადგილე - ს. ჭანტურია;
- შპს „ენგურჰესი“-ს სტგ-ს უფროსი - რ. გვაგვალია;

## 8. გარანტია

8.1 მიმწოდებლის მიერ შეკეთებულ ყოველ კვანძზე ვრცელდება 6 თვიანი საგარანტიო ვადა. ამ პერიოდში გამოვლენილი ნაკლოვანებები აღმოფხვრილ იქნება „მიმწოდებელი“-ს მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე. თუ დამტკიცდება, რომ გამოვლენილი დეფექტი შედეგია არასწორი ექსპლუატაციის, მიმწოდებელი პასუხს არ აგებს დეფექტების აღმოფხვრაზე.

## 9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

9.1. შესყიდვის ობიექტის ყველა კვანძის დაშლის შემდგომ გამოვლენილი და ფაქტიურად დადგენილი გასაწევი მომსახურების ზუსტი მოცულობის შედეგად შედგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მოხდება თავდაპირველი სახელშეკრულებო თანხის კორექტირება.

9.2 ფასთა ცვლილება განიხილება სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მაგრამ ზრდადობისკენ არა უმეტეს თავდაპირველი სახელშეკრულებო თანხის 10%-ისა.

9.3 ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

## 10. საავანსო საბანკო გარანტია

10.1 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.3 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადას 30 (ოცდაათი) დღით.

10.2 შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის თანხის გათავისუფლება განხორციელდება ეტაპობრივად, საავანსო საბანკო გარანტიისა და გაწეული მომსახურების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის პროპორციულად, გარდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა,

ამ შემთხვევაში ხდება საბანკო გარანტიის სრულად გათავისუფლება, რის შემდეგაც გარანტიის დაბრუნება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

10.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

## 11. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ----%-იანი საბანკო გარანტია.

11.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია აღებული უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისი მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

11.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო.

11.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

13.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

13.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

13.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

13.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

13.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.02 პროცენტის ოდენობით.

13.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

#### 14. ფორს-მაჟორი

14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა ყალბობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

#### 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო კვალიფიციური ელექტრონული ხელისმოწერის ან/და ბოლო კვალიფიციური ელექტრონული შტამპის განთავსების დღიდან და მოქმედებს 2021 წლის ----- ჩათვლით.

#### 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"  
შპს „ენგურჰესი“  
ს/კ 251716371  
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,  
ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8  
სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“  
ბ/კ UGEBGE22  
ა/ა GE97VT660000003403403  
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე  
ლევან მებონია

"მიმწოდებელი"